უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამა

საკითხები გასაუბრებისთვის

ეროვნული უსაფრთხოება

- რა ჰქვია დოკუმენტს, რომლითაც განისაზღვრება საფრთხეები?
- რომელ დოკუმენტში განისაზღვრება ქვეყნის ძირითადი უსაფრთხოების პრიორიტეტები?
- ჩამოთვალეთ ეროვნული ძალის ელემენტები

საერთაშორისო ურთიერთობები

- რას შეისწავლის საერთაშორისო ურთიერთობები?
- როგორია დღევანდელი მსოფლიო? მრავალპოლუსიანი, ორპოლუსიანი, ერთპოლუსიანი?
- ვინ არის დიპლომატი?

გეოპოლიტიკა

- ჩამოთვალეთ შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები?
- რომლებია შავი ზღვის რეგიონის ნატოს წევრი ქვეყნები?
- შავი ზღვის რეგიონის რომელი ქვეყანა არის ევროკავშირის წევრი?

ჰიბრიდული ომი

- რა არის ჰიბრიდული ომი?
- ჩამოთვალეთ ჰიბრიდული ომის ელემენტები?
- რომელი ქვეყანა ახორციელებს ჰიბრიდულ ომს შავი ზღვის რეგიონში?

სამშვიდობო ოპერაციები

- რას ნიშნავს სამშვიდობო ოპერაცია?
- რომელ სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობდა საქართველოს შეიარაღებული ძალები?
- ვისი ეგიდით შეიძლება ჩატარდეს სამშვიდობო ოპერაცია?

საგარეო პოლიტიკა

- რომელ მეზობელთან არ აქვს საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა?

- არის თუ არა საქართველო ევროსაბჭოს წევრი?
- საქართველოს რომელი მეზობელი ქვეყანა არის ევრაზიული კავშირის წევრი?

სტრატეგია

- რა არის სტრატეგია? (განმარტება)
- რა განსხვავებაა სტრატეგიას და კონცეფციას შორის?
- დაასახელეთ სტატეგიული დონის დოკუმენტი?

სახელმწიფო მოწყობა

- ჩამოთვალეთ ხელისუფლების შტოები?
- რა არის ქვეყნის ფუნდამენტური დოკუმენტი?
- როგორი მოწყობის ქვეყანაა საქართველო?

საერთაშორისო ორგანიზაციები

- რომელი ორგანიზავცია იყო გაერო-ს წინამორბედი?
- არის თუ არა ავსტრალია ნატო წევრი?
- არის თუ არა საქართველო ეუთოს წევრი?

კანდიდატი განიხილავს 2 თემას წარმოდგენილი თემებიდან, თითოეულ საკითხში იგი შეფასდება მაქსიმუმ 4 ქულით, სულ 8 ქულა. კანდიდატი დადებითად შეფასდება მინიმუმ 4 ქულის მიღების შემთხვევაში (თითოეული საკითხში მინიმუმ 2 ქულის მიღების შემთხვევაში).

კანდიდატის შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

4 ქულა: პასუხი სრულია; აქცენტები სწორად არის დასმული. კანდიდატი ზედმიწევნით ფლობს არჩეული საკითხის მთავარ კომპონენტებს.

3 ქულა: პასუხი სრულია, მაგრამ მცირეოდენი ხარვეზებით; არსებითი შეცდომა არ არის; კანდიდატი კარგად ფლობს არჩეული საკითხის მთავარ კომპონენტებს.

2 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი გადმოცემულია დამაკმაყოფილებლად; კანდიდატი ფლობს საკითხს, მაგრამ აღინიშნება შეცდომები.

1 ქულა: პასუხი არასრულია; კანდიდატს აქვს ბუნდოვანი წარმოდგენა და უჭირს

არჩეული საკითხზე პასუხის გაცემა.

0 ქულა: პასუხი არ არის საკითხის შესაბამისი ან საერთოდ არაა მოცემული.

ლიტერატურა:

1. ჰიბრიდული ომის გააზრებისთვის - გიორგი ანთიძე;
2. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია;
3. თავდაცვის სამინისტროს ხედვა - 2030.